

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი #მ10-20, 08.09.2020

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით:

დადგენილება #15, 10.09.2020

### საგანმანათლებლო პროგრამა

#### სტომატოლოგია

**განათლების საფეხური:** ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

**სწავლების ენა:** ქართული

**საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური

**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** 0911 დენტალური მედიცინა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** დიპლომირებული სტომატოლოგი / Doctor of Dental Medicine (DMD)

**სწავლის ხანგრძლივობა:** 5 წელი (10 სემესტრი)

**საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა:** 300 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ): სოფიო სამხარაძე e-mail: [sopho.samkharadze@eu.edu.ge](mailto:sopho.samkharadze@eu.edu.ge)

ნაზი ვაშაკიძე e-mail: [nazi.vashakidze@eu.edu.ge](mailto:nazi.vashakidze@eu.edu.ge)

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ა) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში.

ბ) სავალდებულო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა; ინგლისური ენა; ბიოლოგია.

გ) მეოთხე საგნისთვის აბიტურიენტმა არჩევანი უნდა გააკეთოს ერთერთზე შემდეგი საგნებიდან:  
ქიმია/მათემატიკა/ფიზიკა. თითოეული საგნისთვის გამოყოფილი კვოტირებული ადგილებია - 50%, 25%, 25%.

**პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვება:**

· პირები, რომლებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 29.13.2011 №224/ნ ბრძანების „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხოთ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე.

**პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ-ით (4.02.2010) დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მოხილვის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

### პროგრამის აქტუალობა

დიპლომირებული სტომატოლოგის პროფესია ჯანდაცვის სფეროს ერთერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომელიც ეხება ადამიანის პირის ღრუს ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას, ასევე ცხოვრების ხარისხის ამაღლება. თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს პაციენტთა უსაფრთხოება. შესაბამისად, დღეს აქტუალურია პრევენციისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, რისთვისაც საჭიროა მაღალკვალიფიციური კადრების არსებობა, სამედიცინო კადრების დღევანდელი ბაზარი განიცდის შესაბამისი სპეციალისტების დეფიციტს.

თანამედროვე, სწრაფად განვითარებადი მაღალტექნოლოგიური კვლევისა თუ მკურნალობის საშუალებები და სწრაფად განახლებადი სამედიცინო ცოდნა იწვევს დაავადების საწყის ეტაპზე გამოვლენილ პათოლოგიათა რაოდენობისა და მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდას.

ხშირ შემთხვევაში სტომატოლოგიურ კლინიკებსა და კაბინეტებში დასაქმებულ სპეციალისტებს აკლიათ თანამედროვე ცოდნა და გამოცდილება, რაც შესაბამისად აისახება პაციენტის კვალიფიციურ მომსახურებასა და ხარისხზე. პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ აკადემიური განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ხარისხის ამაღლებითა და ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით.

### პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიონალი სტომატოლოგის მომზადება (1), რომელიც კვალიფიციურად გამოიყენებს კვლევით, ეთიკურ და კომუნიკაციურ უნარებს (2). პროფესიულად განვითარდება მუდმივად ცვალებად გარემოში(3).

### სწავლის შედეგები

ზოგადი კომპეტენციები	
<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>	<p>სწავლების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ავლენს როგორც თეორიული პრინციპების, ასევე მედიცინაში და სტომატოლოგიაში გამოყენებული კვლევითი მეთოდოლოგიის სიღრმისეულ ცოდნას სამედიცინო სფეროსათვის სპეციფიკურ დისციპლინებში;</li> <li>• კრიტიკულად უდგება ახალ ინფორმაციას;</li> <li>• აანალიზებს და აერთიანებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას, სათანადო დასკვნების გამოტანისა და მათი შემდგომი თვით-განვითარებისათვის გამოყენების მიზნით.</li> </ul>
<b>უნარები</b>	<p>კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი უნარები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კომპლექსური ხასიათის პრობლემის მულტიდისციპლინურ გუნდში გადაწყვეტა, უახლესი ინფორმაციის გამოყენების გზით;</li> <li>• კვლევის განხორციელება, საფუძვლიანი და თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით;</li> <li>• შეგროვილი ინფორმაციის პროფესიულ საქმიანობაში გამოყენება;</li> <li>• საგანმანათლებლო და საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება;</li> <li>• სამედიცინო სფეროსთან დაკავშირებული როგორც ეთიკური, ასევე სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად მოქმედება და პაციენტის უფლებების დაცვა;</li> <li>• პროფესიული სახის მოლაპარაკებების წარმოება ნებისმიერ პირთან, მათი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად;</li> </ul>

<p><b>პასუხისმგებლობა და ავტონომია</b></p>	<p>კურსდამთავრებულს ექნება უნარი, გამოავლინოს შემდეგი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებლობა;</li> <li>• მუდმივად სწავლისა და სიახლეების გაცნობის მნიშვნელობის გაცნობიერება;</li> <li>• ახალი ინფორმაციის მოპოვებისა და მისი გამოყენების უნარი.</li> </ul>
--	--

**დარგობრივი კომპეტენციები**

<p><b>პროგრამის სწავლის შედეგები</b></p>	<p><b>სწავლის შედეგების აღწერილობა</b></p>
<p>1</p>	<p>იცის ადამიანის ორგანიზმის სისტემები, მისი შემადგენელი ერთეულები, ქსოვილები, მათი ურთიერთკავშირი, განვითარების თავისებურებები და ფუნქციები; განმარტავს ორგანიზმის ანატომიურ, ფიზიოლოგიურ თავისებურებებს და ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებს; განიხილავს ორგანიზმს, როგორც ერთიან სისტემას. ამოიცნობს და განასხვავებს ნორმისა და პათოლოგიის შემთხვევებს, განსაზღვრავს პათოლოგიების გამომწვევ მიზეზებს. იცის პროფილაქტიკური ღონისძიებები და აცნობიერებს მათი გატარების აუცილებლობასა და მნიშვნელობას.</p>
<p>2</p>	<p>იცის სტომატოლოგიური დანადგარების აგებულება, მასალების და ინსტრუმენტების დანიშნულება, მათი გამოყენება. იცის ექსპლუატაციის წესები, ასეპტიკის, ანტისეპტიკის პრინციპები და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას სანიტარული და ჰიგიენური ნორმების შესანარჩუნებაში. შეუძლია ჰიგიენური ნორმების დაცვა, ნარჩენების მართვა/უტილიზაცია.</p>
<p>3</p>	<p>იცის კბილის რბილი და მკვრივი ქსოვილების დაავადებების ეტიოლოგია და პათოგენეზი. ახდენს დიაგნოსტიკას, მათ შორის, დიფერენციალურ დიაგნოსტიკას, რის შედეგადაც, პაციენტის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, არჩევს და ახორციელებს პროფილაქტიკისა და მკურნალობის თანამედროვე და ადეკვატურ მეთოდებს.</p>
<p>4</p>	<p>იცის პაროდონტის ქსოვილისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები, ახდენს მათ დიაგნოსტიკას, მათ შორის, დიფერენციალურ დიაგნოსტიკას. განსაზღვრავს დიაგნოზს. არჩევს და ახორციელებს პროფილაქტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს.</p>
<p>5</p>	<p>ახდენს ყბა-სახის მიდამოს ოდონტოგენური და არაოდონტოგენური ანთებითი დაავადებების, ასევე ნეოპლასტიური ცვლილებების და ტრავმული დაზიანებების იდენტიფიცირებას. რის საფუძველზეც განმარტავს კონსერვატიული, ქირურგიული, რეკონსტრუქციული ან აღდგენითი მკურნალობის საჭიროებებს.</p>
<p>6</p>	<p>ამოიცნობს და აღწერს პირის ღრუს ქირურგიულ დაავადებებს და ტრავმულ დაზიანებებს. ეტიოლოგიისა, პათოგენეზის და დიაგნოზის მიხედვით შეარჩევს შესაბამის მკურნალობის მეთოდებს.</p>
<p>7</p>	<p>ამოიცნობს და აღწერს ყბა-კბილთა სისტემის ანომალიებს, განსაზღვრავს ეტიოლოგიურ ფაქტორებს, ახდენს მათ დიფერენცირებას და დიაგნოსტიკას. მიღებული მონაცემების საფუძველზე ირჩევს ორთოდონტიული მკურნალობის ტაქტიკასა და შესაბამის ორთოდონტიულ მოწყობილობებს.</p>
<p>8</p>	<p>იცის ორთოპედიულ სტომატოლოგიაში გავრცელებული სხვადასხვა დაავადებები. განასხვავებს მათ ეტიოლოგიის, პათოგენეზის, დაზიანების ხარისხისა და ტიპის მიხედვით. ატარებს დიაგნოსტიკურ პროცედურებს ორთოპედიულ სტომატოლოგიაში, რის შედეგადაც არჩევს შესაბამის კონსტრუქციებს.</p>

9	იცის ადგილობრივი და ზოგადი გაუტკივარების სახეები და მეთოდები. აანალიზებს ადგილობრივი გაუტკივარების შესაძლო გართულებებს და შეუძლია მათი მართვა.
10	შეუძლია ანამნეზის შეკრება, პაციენტის გასინჯვა, სამედიცინო ბარათის შევსება, დამატებითი გამოკვლევების საჭიროების განსაზღვრა. მიღებული მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია, დიფერენციალური დიაგნოზის გატარება და დიაგნოზის დადგენა; ფლობს ძირითად კლინიკურ უნარ-ჩვევებს.
11	იცის და აცნობიერებს სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური ნორმებისა და სამართლებრივი რეგულაციების გამოყენების მნიშვნელობა. აქვს სიტყვიერი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი. სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის ცოდნა; კვლევის დიზაინის, დეტალური დაგეგმვის, მიღებული შედეგების დამუშავებისა და დასკვნების გაკეთების უნარი;
12	შეუძლია გაანალიზოს შემდგომი პროფესიული განვითარებისა და დარგში არსებული სიახლეების მუდმივად გაცნობის აუცილებლობა.

**სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები**

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი გულისხმობს სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლის პროცესში. სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს შემთხვევების განხილვაზე დაფუძნებულ სწავლებას, მსჯელობას, სემინარებსა და პროექტებს. საგანმანათლებლო პროცესში გამოიყენება სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები და აქტივობები:

ინტერაქტიული ლექციები – შემოქმედებითი პროცესი, რომელშიც ლექტორიც და სტუდენტიც ერთდროულად მონაწილეობენ. ლექციის მთავარი მიზანია შემოთავაზებული მასალის ძირითადი არსის შემოქმედებითი და აქტიური გადაცემა. ამასთანავე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ძირითად ცნებებს, მათ განმარტებებს, მითითებებსა და ვარაუდებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ასევე უმთავრესი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია გულისხმობს საგნის ძირითადი დებულებების და სასწავლო მასალის თანმიმდევრულად გადმოცემას. იგი ეფუძნება სტუდენტთა შემოქმედებით აზროვნებისა და უმთავრესი სამეცნიერო პრობლემების აღქმის უნარს.

სემინარი / ჯგუფური (გუნდური) მუშაობა - გულისხმობს ჯგუფებად განაწილებას, განსახილველი საკითხის შესახებ მოხსენების მომზადებას, მოხსენებლისათვის დასასმელი კითხვების ჩამოყალიბებასა და სჯა-ბაასს. ითვალისწინებს თეორიული ცოდნის ეტაპობრივად მიღებას და მის გამოყენებას კონკრეტული პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტის მიზნით. სტუდენტები დამოუკიდებლად მუშაობენ კომპიუტერთან, სიმულატორებთან და მანეკენტან/მულაჟებთან. ჯგუფური მუშაობა, ასევე, შეიძლება მოიცავდეს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებულ დისკუსიასაც.

სიმულაციურ კლასებში მეცადინეობა სიმულატორების და მანეკენტების გამოყენებით წარმოადგენს სამედიცინო ცოდნის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების შეძენის საუკეთესო საშუალებას, რომელიც პაციენტთან დაკავშირებულ არანაირ რისკს არ შეიცავს. სიმულაციური სწავლება სამედიცინო განათლების ეფექტურად მიღების ის გზაა, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკული დილემაების გადაწყვეტის უნარების ჩამოყალიბებას.

პრაქტიკული მუშაობა - იძლევა ლექციაზე მიღებული თეორიული ცოდნის გამოვლენის საშუალებას და შემდეგ აქტივობებს მოიცავს:

- პრაქტიკული უნარების დემონსტრირება – პრაქტიკული მაგალითების ჩვენება, იმგვარი ოპერაციული აქტივობების განხორციელება, რომლებიც ორგანოთა ტოპოგრაფიის საფუძვლიანი ცოდნის გამოვლენის საშუალებას იძლევა, პაციენტის ფიზიკალური გამოკვლევა, კვლევის შედეგების შეფასება, მათი წერილობითი გაფორმება, მანიპულაციების ჩატარება, ინსტრუმენტული გამოკვლევები მიღებული შედეგების ანალიზით (დასკვნის ინტერპრეტაცია და დაზიანების სიმძიმის შეფასება), ლაბორატორიული კვლევების შედეგების შეფასება - განაპირობებს ანალიზისა და სინთეზის უნარის განმტკიცებას.
- შემთხვევის განხილვა – ეფუძნება კონკრეტული შემთხვევის განხილვას. ეს ის მეთოდია, რომელიც თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას განაპირობებს. თეორიისა და პრაქტიკის კომბინაციის მეთოდი

ისეთ მნიშვნელოვან თვისებას ავითარებს, როგორცაა შეზღუდულ დროში გადაწყვეტილების მიღების უნარი. სტუდენტი ივითარებს ანალიტიკურ აზროვნების, ჯგუფური მუშაობის, ალტერნატიული მსჯელობის, დაგეგმვის და შედეგების განჭვრეტის უნარებს.

- როლური თამაში - არის მატერიალურ და წარმოსახვით ფაქტორთა სისტემა, რომელიც ქმნის რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოს, სადაც სტუდენტები როლური ფუნქციის ფარგლებში წყვეტენ დასმულ ამოცანებს. ეს აქტივობა განავითარებს: საკუთარი შესაძლებლობების შეფასების უნარს; თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს; არაორდინალურ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარს; პრობლემის ან პრობლემათა კომპლექსის შეფასებისა და გადაჭრის ადეკვატური მეთოდის გამოყენების უნარს; პროფესიული ღირებულებების გააზრების და ამ ღირებულებებით ოპერირების უნარს.

კლინიკური პრაქტიკა / სწავლება ავადმყოფის საწოლთან, კლერკშიფი - სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია და სტუდენტის მრავალმხრივ აქტივობებს მოიცავს. მეთოდი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამტკიცებასაც უზრუნველყოფს და თეორიული ცოდნის გაღრმავებასაც. კლინიკურ პრაქტიკაში ჩართულია სამი მხარე - უნივერსიტეტი, სტუდენტი და პოტენციური დამპირავებელი/სამსახური. ცხადია, აკადემიური განათლებისა და თეორიის რეალურ სამყაროსთან დაკავშირება სამივე მხარისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია. იგი ხომ ახალი კომპეტენციების განვითარებას უზრუნველყოფს და საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივ განახლებას უწყობს ხელს მუდმივად ცვალებადი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

დისკუსია - მასწავლებელსა და სტუდენტს შორის, ან/და სტუდენტთა შორის აზრთა ურთიერთგაცვლის შემოქმედებით პროცესია, რომლის მიზანია სტუდენტების აზროვნების დონის, სწავლის ხარისხის, პრობლემების გადაჭრის უნარის, შესასწავლი მასალის გაგებისა და ახალი სასწავლო ლიტერატურის გაგნობის გაუმჯობესება. დისკუსიის მონაწილეები, გამოხატავენ სხვადასხვა შეხედულებებს და ეცნობიან ერთმანეთის მოსაზრებებს, რითაც უდავოდ იმდიდრებენ ცოდნას ახალი მიდგომებითა თუ იდეებით. დისკუსიებში შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც სტუდენტთა მცირე ჯგუფებში, ასევე მთელ ჯგუფში და მას ხან მასწავლებელი ხელმძღვანელობს, ხან თავად სტუდენტები.

დებატები - ითვალისწინებს კრიტიკული საკითხების როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ კვლევას, მოსახსენებლად მომზადებასა და არგუმენტირებულად წარმოდგენას, აქტიურად მოსმენას, სუბიექტური და ობიექტური ინფორმაციის გამოიჯვანს, მწვავე კითხვებს, რელევანტური ინფორმაციის შეჯერებას და მტკიცებულებაზე დაფუძნებული საკუთარი მოსაზრებების ფორმულირებას.

ზეპირი გამოკითხვა - თეორიული საკითხების ცოდნის დემონსტრირება და განსახილველ საკითხზე მსჯელობა მოხსენების ან კითხვა-პასუხის სახით.

პრეზენტაცია - ყოველი სტუდენტი ამზადებს პრეზენტაციას და და ახსენებს მას ჯგუფის წინაშე. პრეზენტაცია მიგვითითებს სტუდენტის მიერ განვილილი მასალის ცოდნასა და შეძენილ უნარებზე. იგი შეიძლება მომზადდეს ინდივიდუალურად ან ჯგუფური მუშაობის შედეგად. პრეზენტაციის მიზანია საჭირო წყაროების მოძიებისა და დამუშავების ჩვევების გამომუშავება და შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის შექმნა.

PBL – Problem Based Learning - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება - არის სწავლის მეთოდი, რომელიც ეფუძნება პრობლემას, როგორც ახალი ცოდნის შეძენისა და ინტეგრირების წყაროს. ეს არის ახალი ცოდნის შეძენის პროცესი, რომელიც ხორციელდება სწავლის საჭიროების აღიარების საფუძველზე. PBL არის სუდენტზე ორიენტირებული სასწავლო მეთოდი, რომელიც მოიცავს დისკუსიებს იმ სტუდენტებს შორის, რომლებმაც თავისუფლად სტრუქტურირებული პრობლემის შესწავლა გადაწყვიტეს. მეთოდი არა მხოლოდ ცოდნის შეძენას უწყობს ხელს, არამედ ავითარებს ისეთ სასურველ უნარებს, როგორცაა ეფექტური კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის, პრობლემის გადაჭრის, დამოუკიდებელი სწავლის, ინფორმაციის გაზიარების უნარები, სხვა თვალსაზრისის გაზიარება და პირადი სიძლიერისა და სისუსტის გამოვლენა. იგი აძლიერებს კრიტიკული შეფასების უნარს, აღმოგობებს ლიტერატურის მოძიების ჩვევებს და ხელს უწყობს გუნდურ გარემოში მუშაობის წესების შესწავლას.

CBL - Case Based Learning - შემთხვევის განხილვაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება - პრობლემების აქტიური ანალიზის მეთოდი, რომლის მიზანია სწავლება კონკრეტული კლინიკური მაგალითების საფუძველზე (შემთხვევის ანალიზი). ეს ჯგუფური მუშაობა ეფუძნება მსჯელობას რთული, ატიპური შემთხვევის შესახებ, რომლის დროსაც

საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მოძიება, დიაგნოზის დიფერენცირება და განსაზღვრა. „შემთხვევა“ სწორედ ის ინსტრუმენტი ხდება, რომელიც თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას განაპირობებს. თეორიისა და პრაქტიკის კომბინაციით მეთოდი მხარს უჭერს ანალიტიკურ და კლინიკურ აზროვნებას, ანალიზისა და სინთეზის უნარების განვითარებას, ჯგუფურ მუშაობას და გადაწყვეტილების მიღების უნარს. სტუდენტებს უვითარდებათ სამედიცინო დისკუსიებში მონაწილეობის და კოლეგებთან შეზღუდულ დროში კომუნიკაციის ჩვევა, ანალიტიკური უნარი, ჯგუფური მუშაობის ჩვევა, ალტერნატიული აზროვნება, აქტივობების დაგეგმვისა და შედეგების განჭვრეტის უნარი.

სამეცნიერო კვლევაში ჩართვა – კვლევითი უნარ-ჩვევების გასავითარებლად მნიშვნელოვანია სტუდენტის ჩართვა კვლევაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამას სწორედ მოცემული საკითხით დაინტერესებული სტუდენტებისთვის აქვს. ეს პრაქტიკა ინდივიდუალური კვლევითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

### პროგრამის მოცულობა

პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 5 აკადემიურ წელს ანუ 10 სემესტრს და მოიცავს 300 კრედიტს.

1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს.

კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს:

საათების საერთო ოდენობა - 7500

საათები დამოუკიდებელი მუშაობისათვის - 3032 (არჩევითის გარეშე)

საკონტაქტო საათები - 4143 (არჩევითის გარეშე)

სალექციო საათები - 940 (არჩევითის გარეშე)

პრაქტიკული მეცადინეობები - 2883 (არჩევითის გარეშე)

შეფასება - 320 (არჩევითის გარეშე)

### პროგრამის სტრუქტურა

სტრუქტოლოგიის პროგრამა იყოფა 3 ბლოკად:

I ბლოკი - ადამიანის ორგანიზმის სტრუქტურა და ფუნქციები (I-II კურსი)

ზოგადი მედიცინის საფუძვლების ფაზა მოიცავს ბიოსამედიცინო მეცნიერებებისა და ადამიანის ორგანიზმის აგებულება-ფუნქციის შესახებ ძირეულ კონცეფციებს. პირველი ორი კურსის განმავლობაში, სტუდენტები გაეცნობიან ადამიანის სხეულის აგებულებას, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებს და აღნიშნულ სფეროში კვლევის პრინციპებს, კლინიკურ და პროფესიულ უნარებს (კომუნიკაციური და პროცედურული უნარები, სამედიცინო ეთიკა), საზოგადოებრივი ჯანდაცვის საფუძვლებს. აღნიშნული ინტეგრირებული მოდულების სწავლება განხორციელდება სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით (ინტერაქტიული ლექციები, როლური თამაშები, პრაქტიკული მუშაობა, სიმულაციურ ლაბორატორიაში მუშაობა და სხვ.). სტუდენტები დაეუფლებიან საკვანძო პრაქტიკულ უნარებს (ფანტომებზე მუშაობა) საფანტომო კლასში. სიმულაციური სწავლების გზით სტუდენტები მიიღებენ გამოცდილებაზე დაყრდნობილ ცოდნას; ასევე კონკრეტული კლინიკური შემთხვევების ვირტუალური დისექციის და მანეკენებზე განხილვის მეშვეობით სტუდენტები შეისწავლიან რეგიონულ ანატომიას.

ამასთან, პირველივე კურსიდან სტუდენტები ჩაერთვებიან პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL - problem-based learning) კურსში, რომელსაც გრძივი ხასიათი ექნება. სპეციალობის საფანტომო კურსების დასასრულს, სტუდენტები აბარებენ ინტეგრირებულ გამოცდას (ტესტური კითხვები მრავალარჩევანიანი პასუხებით და OSCE).

### II ბლოკი - ჯანმრთელობის და ავადობის მექანიზმები (III-IV კურსი)

მეორე ბლოკის განმავლობაში ყურადღება ეთმობა კლინიკურ ნაწილს, (პროპედევტიკა და კლინიკური უნარები). აღნიშნული ბლოკი ძირითადად ორიენტირებულია დაავადებათა ყველაზე ხშირ სიმპტომებსა და ნიშნებზე. ამასთან, სტუდენტები სრულყოფენ ფიზიკური გასინჯვის უნარებს. III კურსის განმავლობაში სტუდენტები სწავლობენ დიაგნოსტიკურ აზროვნებას სხვადასხვა სამედიცინო მიმართულების ქეისების განხილვის გზით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მიღებული ცოდნის ინტეგრირებას და ამზადებს სტუდენტებს კლინიკური საგნების სრულფასოვნად აღქმისაკენ, რომელთა უმეტესობის ინიცირებაც პროგრამაში შემდეგი წლიდან ხდება. IV კურსი განმავლობაში სტუდენტები სწავლობენ კლინიკური როტაციების სახით ძირითად სტომატოლოგიურ და კლინიკურ საგნებს - დერმატოლოგია, პედიატრია, ოტორინოლარინგოლოგია და სხვ. აღნიშნული მოდულების სწავლება ხდება როგორც ამბულატორიულ, ასევე კლინიკურ გარემოში. მეორე ბლოკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია სპეციალობის პრეკლინიკური კურსების გაგრძელება და სპეციალობის კლინიკური კურსების ჩართვა, რომელთა გავლისას სტუდენტები აგრძელებენ სპეციალობის მანუალური უნარების და სტომატოლოგიური დაავადებების კლინიკურ სიმპტომატიკას დაუფლებას. უმეტესი კურსების დასასრულს, სტუდენტები აბარებენ ინტეგრირებულ გამოცდას (ტესტური კითხვები მრავალარჩევანიანი პასუხებით და OSCE).

### III ბლოკი - სპეციალობის კლინიკური კურსები (V კურსი)

მესამე ბლოკის ძირითადი ნაწილია სპეციალობის (თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული სტომატოლოგია, ბავშვთა ასაკის თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგია, ორთოდონტია) კლინიკური კურსების გაგრძელება, რომელთა გავლისას სტუდენტები აგრძელებენ პროფესიული უნარების შესწავლას. V დამამთავრებელი კურსის განმავლობაში, სტუდენტებს ექნებათ დამატებითი კლინიკური საქმიანობა, რათა განამტკიცონ და სრულყოფონ კომპეტენციები ძირითად სტომატოლოგიურ სპეციალობებში. გაკვეთილი როტაციის დასასრულს, სტუდენტები აბარებენ ინტეგრირებულ გამოცდას. ამავე კურსის ფარგლებში, სტუდენტებს ეძლევა სხვადასხვა კლინიკური დაავადება, რომელთა შესრულებაც ამზადებს დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს მომავალი სპეციალიზაციისა და დიპლომის შემდგომი სარეზიდენტო პროგრამისათვის.

პროგრამის სავალდებულო კომპონენტი - 287 კრედიტი

პროგრამის არჩევითი კომპონენტი - 13 კრედიტი (თავისუფალი კრედიტი 4)

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მეშვეობით განისაზღვრება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამის კონკრეტული შედეგებთან. აღნიშნული თვალსაზრისით შეფასება დაფუძნებული იქნება იმ კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ გააჩნია თუ არა სტუდენტს პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, შეუძლია თუ არა კვლევასთან დაკავშირებული კითხვების წამოჭრა, ანალიზი, მოსაზრებებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება, შეუძლია თუ არა გამოიყენოს შესაბამისი ინსტრუმენტები, დამოუკიდებლად აწარმოოს საქმიანობა, წარმოაჩინოს მიღებული შედეგები და დაიცვას საკუთარი აზრი.

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით. შეფასება უნდა იყოს, როგორც შემაჯამებელი ხასიათის, ასევე მავორმირებელი (უკუკავშირის მიმცემი).

სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების ფორმებით - შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას; შეფასების ფორმები შეიცავს შეფასების კომპონენტებს - შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან ფორმებს (ზეპირი/წერილით გამოცდა, ზეპირი/წერილით გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.);

შეფასების მეთოდი - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, დისკუსიაში მონაწილეობა, ქეისის განხილვა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ.);

შეფასების ფორმებია - შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) - 60 ქულა;

დასკვნითი შეფასებისათვის გამოიყენება დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების უდიდესი შესაძლებელი ქულაა 100 ქულა, აქედან დასკვნით შეფასებაზე მოდის 40 ქულა, შუალედურ შეფასებაზე - 60 ქულა, რომელსაც შუალედური შეფასების სხვადასხვა კომპონენტზე სპეციფიკის შესაბამისად ანაწილებს სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირი.

დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტის შუალედური შეფასებისა და შუალედური გამოცდის ქულათა ჯამი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 30 ქულას.

დასკვნითი გამოცდა სავალდებულო ხასიათისაა და ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 21 ქულას.

შეფასების გრადაცია

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.



სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

ტესტი/კომბინირებული ტესტი/კითხვარი საშუალებას იძლევა მოკლე დროში შემოწმდეს მნიშვნელოვანი მოცულობის მასალის ცოდნის დონე.

კლინიკური შემთხვევის განხილვა საშუალებას იძლევა შემოწმდეს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიების უნარი.

ღია კითხვა/თეორიული საკითხი/თემა მეთოდი ადგენს, თუ რამდენად სწორად ესმის სტუდენტს დასმული ამოცანა. უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ მსჯელობაში მონაწილეობის ხარისხის შეფასებას ისეთი მაჩვენებლების საფუძველზე, როგორცაა გამოსვლები, იდეები, თვითგანვითარების და ინფორმაციის გაცვლის მიმართ მზაობა.

ზეპირი მოხსენება/პრეზენტაცია, Power Point პრეზენტაცია წარმოდგენას იძლევა სტუდენტის უნარზე, მკაფიოდ გადმოსცეს ინფორმაცია, გვიჩვენებს წარმოდგენილი მასალის ცოდნის სიღრმეს და მომხსენებლის, როგორც საპრეზენტაციო ჩვევებს, ასევე, აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარს.

პრაქტიკული და კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება - ადგენს, რამდენად შეუძლია სტუდენტს პაციენტის ფიზიკალური გამოკვლევა, მონაცემების შეგროვება და რეგისტრაცია, მანიპულაციების ჩატარება და ექიმის ასისტირება, ინსტრუმენტული გამოკვლევების შედეგებისა და ლაბორატორიული კვლევების ანალიზი.

ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) კლინიკური კომპეტენციების შეფასების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია, OSCE-ს საშუალებით შესაძლებელია ერთროულად შეფასდეს კლინიკური კომპეტენციების მთელი სპექტრი: პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის შეკრების ჩვევები, პაციენტის გამოკვლევის სხვადასხვა მეთოდი, კომუნიკაციის უნარები, პროფესიონალიზმი, მანუალური ჩვევები, კლინიკური აზროვნება, მსჯელობისა და პრობლემის გადაჭრის უნარი, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება და დაავადებათა მართვა.

შუალედური გამოცდა წარმოადგენს შუალედური შეფასების კომპონენტს, რომელიც ტარდება კურიკულუმით განსაზღვრული ფორმითა და მეთოდით. მისი მიზანია განვლილი მასალის შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება.

დასკვნითი გამოცდა - საბოლოო შეფასების ერთჯერადი კომპონენტია და ტარდება მიღებული ცოდნისა და უნარების შესაფასებლად სასწავლო კურიკულუმით განსაზღვრული ფორმითა და მეთოდით.

### დასაქმების სფერო და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო სამედიცინო პროგრამის კურსდამთავრებულს არ აქვს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელების უფლება, თუმცა მათ შეუძლიათ დასაქმდნენ უმცროსი ექიმის პოზიციაზე და შეასრულონ ექიმის მოვალეობები დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე პირის ზედამხედველობის ქვეშ. (საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, მუხლი 5). უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე კურსდამთავრებულს უფლება აქვს განახორციელოს შემდეგი ქმედებები: ა) გააგრძელოს სწავლა დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამაზე (რეზიდენტურა) და მისი დასრულების შემდეგ მოიპოვოს დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლება, შესაბამისი სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარების შემდეგ; ბ) გააგრძელოს მოღვაწეობა როგორც სამეცნიერო-კვლევითი, (მაგისტრატურა, დოქტორანტურა) ასევე აკადემიური მიმართულებებით, მედიცინის თეორიულ, ან ჯანდაცვის ნებისმიერ ნაწილში, რომელიც არ არის დაკავშირებული დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობასთან. (საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, მუხლი 17).

## პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და დამატებითი წიგნადი ფონდით, ელექტრონული რესურსებით და საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით, ქიმიის ლაბორატორია, 3D ანატომიური თეატრი, სასწავლო კაბინეტები, სიმულაციური ლაბორატორიები სასწავლო კომპონენტებით გათვალისწინებული მანევრებით, საგამოცდო ცენტრი, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. უნივერსიტეტის შენობა აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით.

კლინიკური სასწავლო კურსები ხორციელდება შემდეგი სამედიცინო დაწესებულებების ბაზაზე:

1. შპს „ ავერსის კლინიკა “
2. შპს „ დიაკორი “
3. სს „ ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო - პრაქტიკული ცენტრი “
4. შპს „ კანისა და ვენსნეულებათა ს / კ ეროვნული ცენტრი “
5. მე - 5 კლინიკური საავადმყოფო
6. შპს „ ს . ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა “
7. შპს „ ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი “
8. შპს „ წმინდა მიქაელ მთავარ ანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო “
9. „ ყელ - ყურ - ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრი ჯაფარიძე - ქევანიშვილის კლინიკა “
10. აკ . ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა -
11. შპს „ ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტი “
12. თბილისის გული
13. კლინიკა „ ბაიები “
14. კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი
15. შპს „ ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი “ მარდალეიშვილის კლინიკა -
16. შპს „ , აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა
17. ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი
18. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი
19. N მედი ქლაბ
20. ჩაფიძის გულის ცენტრი.
21. შპს „ ჰეპატოლოგიური კლინიკა ჰეპა “
22. ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი
23. ჯანმრთელობის სახლი
24. ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკა

### სტომატოლოგიური კლინიკები

1. ი / მ სალომე ოშიაძის სტომატოლოგიური კაბინეტი
2. ნინო ბერიძის ორთოდონტიული ცენტრი
3. სტომატოლოგიური კლინიკა მინანქარი
4. სტომატოლოგიური კლინიკა უნისტომი
5. დენტალ არტი
6. სტომატოლოგიური კლინიკა ჰეპე
7. კლინიკა ზეპელინი

## პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი

სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით (იხ. დანართი #6).

**შენიშვნა:** საგანმანათლებლო პროგრამის დანართები წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

სოფიო სამხარაძე

ნაზი ვაშაკიძე